

# ცხოველის საკვებში აფლატოქსინის შემცველობა დასაშვებ ნოჩმას ახ უნდა აღვამატებოდეს!



2024 წლის 1 ივლისიდან, ტექნიკური რეგლამენტის “ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს საკვების მწარმოებლების და ფერმერების კონტროლს ცხოველის საკვებში აფლატოქსინ B1-ის შემცველობაზე.

აფლატოქსინი B1 წარმოიქმნება ობის სოკოებიდან, რომლებიც ვითარდება მცენარეული ნედლეულის მომწიფებისას, მოსავლის აღების, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების, საკვების არასწორი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს. ობის სოკოებით დაბინძურებული ცხოველის საკვები იცვლის ფერს, სუნს, გემოს, რაც საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზევე იქნეს დადგენილი მათი არაკეთილსაიმედოობა.

თუ ცხოველის საკვებში აფლატოქსინი B1-ის შემცველობა აღემატება დასაშვებ რაოდენობას, მისი გამოყენება აკრძალულია!



# აფლატოქსინის დასაშვები ნოჩმა

- \* მერძეული მსხვილფეხა საქონლისა და ხბოს, მერძეული ცხვრისა და ბატკნის, მერძეული თხისა და თიკანის, გოჭებისა და მოზარდი ფრინველის კომბინირებულ საკვებში მისი მაქსიმალური შემცველობა დასაშვებია 0.005 მგ/კგ;
- \* ცხოველის დამატებით და სრულყოფილ საკვებში დასაშვებია 0.01 მგ/კგ;
- \* მსხვილფეხა საქონლის (გარდა მერძეული მსხვილფეხა საქონლისა და ხბოსი), ცხვრის (გარდა მერძეული ცხვრისა და ბატკნის), თხის (გარდა მერძეული თხისა და თიკანისა), ღორებისა (გარდა გოჭებისა) და ფრინველის საკვებში აფლატოქსინი B1-ის შემცველობა დასაშვებია 0.02 მგ/კგ.

## აფლატოქსინი B1-ით დაზიანებული ცხოველის საკვებიდან, 1%-დან 6.3%-მდე ნაწილი გაჩაღიანება აფლატოქსინ M1-ზე, რომელიც გადაისხამება კი ხვდება მოხმარებად.



## ხოგოხ აწიხილოთ თაწიდან მიქოტოქსინების ნაწილოქმნა?

ცხოველის საკვების დასაწყობებისას მწიშვნელოვანია:

- \* სათავსის დასუფთავების წესების მუდმივი დაცვა;
- \* ტომრების პალეტზე განთავსება;
- \* კედლებიდან დაცილება;
- \* საწყობის მდგომარეობა (ჭერის მთლიანობა, ღიობების არსებობა);
- \* დასაწყობების სიმჭიდროვე;
- \* პროდუქციის შენახვის ვადის კონტროლი ჩამოცლისას/ დასაწყობებისას;
- \* პროდუქტის ჩამოტვირთვის პირობები (ამინდი).

## ხოგოხი ბაწიომ უნდა იყოს დასაწყობების აღბილას?

- \* ტემპერატურა 25°C-მდე
- \* ფარდობითი ტენიანობა 75%.

# პილდუქსიის დასაწყობების ადგილას დაუშვებელია

- \* დასაწყობებულ ტომრებზე სიარული;
- \* ტომრების მიდგმა კედლებთან;
- \* ტომრის თავდია დატოვება;
- \* ტომრებთან ახლოს დასუფთავების სველი წესის გამოყენება;
- \* მძაფრი სუნის მქონე ხსნარებისა და სხვა ქიმიური საშუალებების განთავსება ტომრებთან ახლოს.

## საქვებში აფლამოქსინების შეზღვევისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ აღსოხბენებები:

ალუმინოსილიკატები

ბენტონიტი

კარბოსილი

აქტიური ნახშირი

ასტაქსანტინი

სილიციუმის დიოქსიდი - 19%.

აღნიშნული ნივთიერებები ბოჭავენ მიკოტოქსინებს  
ცხოველის საკვებსა და ცხოველის ორგანიზმში.



სსიპ სურსათის  
ეროვნული სააგენტო



LAND D'LAKE'S  
VENTURE 37

